



ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული საქონლის დაბეგვრის თავისებურებანი

მომზადებულია ევროკავშირი-საქართველოს
ბიზნეს საჭმოს მიერ

თბილისი 2008



ევროკავშირში ევროპული სახელმწიფოს* პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც თანდათანობით, 50 წლიანი ისტორიის მანძილზე ვითარდებოდა. დღეს ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის საზღვრები ღიაა და ისინი საერთო სავაჭრო სივრცით და საერთო ვალუტით სარგებლობენ. ევროკავშირი მზადაა თავისი ფასეულობები და გამოცდილება სხვა სახელმწიფოებს გაუზიაროს. ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის შესახებ იხილეთ www.delgeo.ec.europa.eu



ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო (EUGBC) ქართული და ევროპული კომპანიების მიერ 2006 წლის დასაწყისში, ბრიუსელში, არაკომერციული იურიდიული პირის ფორმით დაფუძნდა. საბჭოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ინვესტიციებისა და სავაჭრო ბრუნვის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. ინფორმაცია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს შესახებ www.eugbc.net

*აესტრია, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი და ჰოლანდია.

ევროკავშირის გაზარდა იმპორტირებული საქონლის დაბეგვრის თავისებურებანი

მომზადებულია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს მიერ

სარედაქციო ჯგუფი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი
იოსებ ნანობაშვილი
ალექსანდრე ხვთისიაშვილი

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო მადლობას უხდის **საქართველოს და სამართლის ქართულ-ევროპულ საკონსულტაციო ცენტრს (GEPLAC)** პუბლიკაციის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

© European Commission

ISBN 978-9941-0-0841-2

ს ა რ ჩ ე ვ ი

1.	ევროკავშირის სატარიფო პოლიტიკა მესამე ქვეყნებთან ვაჭრობაში	3
2.	ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული საქონლის კლასიფიცირების სისტემები	4
3.	ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი სააქციზო გადასახადები	14
4.	ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული საქონლის დამატებითი ღირებულების გადასახადით (დღგ) დაბეგვის ზოგიერთი თავისებურება	15
5.	ინტერნეტ-ცნობარი ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტიორებისათვის	18
6.	ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან იმპორტირებული ზოგიერთი საქონლის საბაჟო, სააქციზო და დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვის კონკრეტული მაგალითები	21
დანართი	პუბლიკაციაში გამოყენებული ევროკავშირის საკანონმდებლო დოკუმენტები	30
Summary	Taxation of goods imported to the European Union market	31

1. ევროკავშირის სატარიფო პოლიტიკა მესამე ქვეყნებთან ვაჭრობაში

როგორც ცნობილია, ევროკავშირი ერთიან ეკონომიკურ სივრცეს წარმოადგენს. მისი წევრი ქვეყნები საბაჟო კავშირს ქმნიან. ეს კი ნიშნავს, რომ ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში ერთნაირი საიმპორტო საბაჟო ტარიფები მოქმედებს. ამდენად, იმის მიუხედავად, თუ ევროკავშირის წევრ რომელ ქვეყანაში გეგმავს მესამე ქვეყნის¹ მეწარმე პროდუქციის ექსპორტს, მას ერთი და იგივე ოდენობის საბაჟო გადასახადის გადახდა მოუწევს.

ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის ექსპორტისას, მესამე ქვეყნის ექსპორტიორს ევროკავშირის მიერ დაწესებული ერთიანი საბაჟო გადასახადის გარდა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ დაწესებული ისეთი გადასახადების გადახდაც უწევს, როგორცაა დამატებითი ღირებულების გადასახადი, სააქციზო გადასახადი და სხვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე პუბლიკაციის მთავარ მიზანს, ქართველი ექსპორტიორებისათვის ევროკავშირის საიმპორტო სატარიფო სისტემის ძირითადი თავისებურებების და ევროკავშირის წევრი ცალკეული ქვეყნების მიერ ავტონომიურად შემოღებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს. აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია ქართველი ექსპორტიორებისათვის, რათა მათ ევროკავშირის ბაზარზე საქმიანობა ეფექტურად დაგეგმონ.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი სახელმწიფოები ერთმანეთთან ვაჭრობისას, ერთმანეთს, ძირითადად, ე.წ. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს² ანიჭებენ. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის სავაჭრო შეღავათები (მაგალითად, **GSP** - ევროკავშირის პრეფერენციითა განზოგადებული სისტემა) განვითარებადი ქვეყნებისათვის³ შემცირებულ სატარიფო განაკვეთებს დაწესებას ითვალისწინებს.

1 მესამე ქვეყნებად იწოდებიან ის სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი ან ასოცირებული წევრი ქვეყნები, არ არიან გაერთიანებული ევროპის ეკონომიკურ სივრცეში (EEA) და ევროკავშირთან ვაჭრობაში არ გააჩნიათ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით, ან სხვა სახის შეთანხმებით გათვალისწინებული სავაჭრო შეღავათები.

2 უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი ერთი ქვეყნის მიერ მის ყველა სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან თანაბარი სავაჭრო პოლიტიკის წარმოებას გულისხმობს. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დამყარება ნიშნავს ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნისათვის ისეთი სავაჭრო შეღავათების მინიჭებას, როგორცაა მისი ნებისმიერი სხვა სავაჭრო პარტნიორი-ქვეყანა სარგებლობს.

3 განვითარებად ქვეყნებად იწოდებიან ის ქვეყნები, რომლებიც შედარებით დაბალი ცხოვრების დონითა და ე.წ. "ადამიანური განვითარების ინდექსით" (Human Development Index - HDI) ხასიათდებიან, ასევე ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის შედარებით მცირე მანუვრებელს ფლობენ, თუმცა ეკონომიკური განვითარების ფაზაში იმყოფებიან

განვითარებად ქვეყნებთან ვაჭრობაში, ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა, ზოგადად, საიმპორტო ბარიერების თანდათანობით შემცირებაზეა ორიენტირებული. ასე მაგალითად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ე.წ. ურუგვაის რაუნდის ფარგლებში (ურუგვაის რაუნდის ფარგლებში მოლაპარაკებები 1986 - 1994 წ.წ. მიმდინარეობდა) აღებული ვალდებულებების შესაბამისად, ევროკავშირი სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე საბაჟო ტარიფებს მუდმივად ამცირებს.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირში იმპორტირებული პროდუქციის 40% განვითარებად ქვეყნებში იწარმოება. უფრო კონკრეტულად, ევროკავშირი განვითარებად ქვეყნებში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთავარი იმპორტიორია. განვითარებადი ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა აღემატება აშშ-ს, იაპონიისა და კანადის მიერ ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობას.

პუბლიკაციის შემდგომ თავებში მოცემულია ევროკავშირში იმპორტირებული საქონლის კლასიფიცირებისათვის გამოყენებულ კოდირების სისტემების განმარტებები და ინფორმაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებულ სააქციზო და დამატებითი ღირებულების გადასახადებთან დაკავშირებით. ასევე, ქართველი ექსპორტიორები მიიღებენ რეკომენდაციებს, თუ როგორ ისარგებლონ ევროკომისიის მიერ შემუშავებული ინტერნეტ-ცნობარით, რომლის მეშვეობითაც, ევროკავშირის ბაზარზე სხვადასხვა სახის საქონლის იმპორტთან დაკავშირებული გადასახადების ოდენობის და სხვა საჭირო ინფორმაციის მოპოვება შეიძლება. ბროშურის ბოლოს კი, წარმოდგენილია ინფორმაცია ევროკავშირის ბაზარზე საქართველოში წარმოებული ზოგიერთი სახეობის საქონლის იმპორტისას მოქმედი საბაჟო, დამატებითი ღირებულებისა და სააქციზო გადასახადების შესახებ, გაწერილი ევროკავშირის წევრი ოცდაშვიდივე ქვეყნის მიხედვით. ასეთი ინფორმაცია ქართველ ექსპორტიორებს, სასურველი ბაზრების, ანუ ევროკავშირის წევრი შესაბამისი ქვეყნების შერჩევის გზით, ევროკავშირის ბაზარზე საკუთარი ბიზნესის დივერსიფიცირებას გაუადვილებს.

2. ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებადი საქონლის კლასიფიცირების სისტემა

ევროკავშირის ბაზარზე მესამე ქვეყნებიდან დაახლოებით 10 ათასი დასახელების საქონლის იმპორტი ხორციელდება. ბუნებრივია, საქონლის სახეობის ასეთი სიმრავლისათვის საიმპორტო ტარიფების გან-

სახდურა და მათი ეფექტური მართვა სასაქონლო ჯგუფების მკაცრი კლასიფიკაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. კლასიფიკაცია საქონლის ცალკეული ჯგუფებისათვის საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭებას გულისხმობს. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ საქონლის ცალკეული ჯგუფები შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად, ან გაერთიანდეს გარკვეულ კატეგორიებში. ამდენად, კლასიფიკაციის სისტემა, შესაბამისი კოდების გამოყენებით საქონლის ჯგუფების ქვეჯგუფებად დაყოფის და მათი საერთო კატეგორიებში გაერთიანების საშუალებას უნდა იძლეოდეს.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ევროკავშირის ბაზარზე მოქმედ საქონლის კლასიფიკაციის სამ სისტემას. ყოველი შემდგომ სისტემაში ხდება წინა სისტემაში მოცემული საქონლის ქვეჯგუფებად დაყოფა. ეს სისტემებია:

- საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზირებული სისტემა (The Harmonized Commodity Description and Coding System) – შემოკლებით ჰარმონიზებული სისტემა (Harmonized System - HS);
- ევროკავშირის საიმპორტო ტარიფის ერთიანი სტატისტიკური და სატარიფო ნომენკლატურა – კომბინირებული ნომენკლატურა (Combined Nomenclature - CN);
- ევროკავშირის ტარიფთა ინტეგრირებული სისტემა - TARIC.

ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებულ საქონელს, მისი შემადგენლობიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლოა მიენიჭოს როგორც ჰარმონიზირებული სისტემის (HS), ასევე კომბინირებული ნომენკლატურისა (CN) და TARIC-ის სასაქონლო კოდები. სურათის უფრო ნათლად წარმოსაჩვენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სათითაოდ განვიხილოთ კლასიფიკაციის ზემოხსენებული სისტემები და მოვიყვანოთ მაგალითები თუ როგორ ხდება თითოეული მათგანით სასაქონლო კოდის მინიჭება.

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზირებული სისტემა (HS) წარმოადგენს საქონლის უნივერსალურ საერთაშორისო ნომენკლატურას, რომელიც შემუშავებულია მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) მიერ. კოდირების ჰარმონიზირებული სისტემა 1988 წლის 1 იანვარს ამოქმედდა და ის დაახლოებით 5000 სასაქონლო ქვეჯგუფს ითვლის. ჰარმონიზებული სისტემა მოიცავს 97 თავს (chapter) ორნიშნა დონეზე (ორტანრიგიანი კოდი), რომელიც იყოფა ჯგუფებად (heading) ოთხნიშნა დონეზე (ოთხტანრიგიანი კოდი)

და ქვეჯგუფებად (subheading) ექვსნიშნა დონეზე (ექვსთანრიგიანი კოდი). დღეისათვის მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყანა საბაჟო ტარიფის დაწესებისას და საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას პარმონიზებული სისტემით სარგებლობს.

ევროკავშირის საიმპორტო ტარიფების ერთიანი სტატისტიკური და სატარიფო ნომენკლატურა – კომბინირებული ნომენკლატურა (CN), ევროკავშირის საბჭოს 1987 წლის N 2658 განაწესით რეგულირდება. კომბინირებული ნომენკლატურა არის პროდუქტების კლასიფიცირებისათვის შემუშავებული ევროკავშირის კოდიფიცირებული სისტემა, რომელიც გამოიყენება როგორც ევროკავშირის ერთიანი საბაჟო სივრცეში, ისე ევროკავშირის სავაჭრო სტატისტიკის საწარმოებლად.

ევროკავშირის კომბინირებული ნომენკლატურა კოდირების პარმონიზირებულ სისტემას ეფუძნება და ახდენს ამ სისტემით განსაზღვრული საქონლის ჯგუფების ქვეჯგუფებად დაყოფას. კომბინირებული ნომენკლატურის კოდი რვათანრიგიანია. დამატებითი ორთანრიგიანი კოდი კი ზემოხსენებულ საქონლის ჯგუფებს ქვეჯგუფებად ყოფს.

აღსანიშნავია, რომ კომბინირებული ნომენკლატურა მუდმივად განახლებად სისტემას წარმოადგენს. ყოველივე ეს ევროკავშირის ბაზარზე საქონლის ახალი სახეობების გაჩენით და ზოგიერთი სახეობის სამომხმარებლო ქსელიდან ამოღებით, ასევე ევროკავშირის სტატისტიკისა და სავაჭრო პოლიტიკაში შესული ცვლილებებით არის განპირობებული.

კომბინირებული ნომენკლატურის ეფექტური მართვა გულისხმობს ამ სისტემის მუდმივ და ოპერატიულ განახლებას, რაც ცენტრალიზებულად, ევროკომისიის მიერ ხორციელდება. ამ მიზნით, ევროკომისიასთან შექმნილია ე.წ. დამხმარე კომიტეტი, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შედგება.

კომბინირებული ნომენკლატურის განახლებულ ვერსიას ევროკომისია ყოველწლიურად ამტკიცებს. განახლებული კომბინირებული ნომენკლატურა ქვეყნდება ევროკომისიის ოფიციალურ ჟურნალში⁴ არაუგვიანეს ყოველი წლის 31 ოქტომბრისა და მისი ამოქმედება ყოველი მომავალი წლის 1 იანვრიდან ხდება. კომბინირებული ნომენკლატურის უკანასკნელი განახლება 2007 წლის 31 ოქტომბერს განხორციელდა და ევროკომისიის N 1214 განაწესით დამტკიცდა.

⁴ ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი ევროკავშირის მიერ გამოცემული ცნობარია, რომელშიც იბეჭდება როგორც ევროკავშირის საკანონმდებლო აქტები - განაწესები, დირექტივები, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებები დასხვა, ასევე, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და ინფორმაცია ევროკომისიის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ.


კომბინირებულ ნომენკლატურაში მითითებული საბაჟო გადასახადი განსაზღვრულია იმ საქონლისათვის, რომელიც ევროკავშირში იმპორტირებულია ემო-ს წვერი ქვეყნიებიდან, ან იმ ქვეყნიებიდან რომლებსაც ევროკავშირმა, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მიანიჭა. იმ შემთხვევაში, თუ იმპორტირებულ საქონელზე ევროკავშირის მიერ მინიჭებული საბაჟო ტარიფები კომბინირებულ ნომენკლატურაში მითითებულ საბაჟო ტარიფებზე დაბალია (მაგალითად, ევროკავშირის პრეფერენციითა გენერალიზირებული სისტემის - GSP ფარგლებში), ისინი კომბინირებულ ნომენკლატურაში სქოლიოს სახითაა მითითებული.

ევროკავშირის ტარიფთა ინტეგრირებული სისტემა – TARIC კომბინირებული ნომენკლატურის შემდგომ დაყოფას ახდენს. მისი კოდები, კომბინირებული ნომენკლატურით განსაზღვრული რვათანრიგიანი კოდების შემდგომ გაშლას წარმოადგენენ. TARIC-ის კოდი ათათანრიგიანია ანუ კომბინირებული ნომენკლატურის რვათანრიგიანი კოდით განსაზღვრულ საქონელს, დამატებითი ორთათანრიგიანი კოდით, შემდგომ ქვეჯგუფებად ჰყოფს. TARIC-ი ევროკავშირის კომბინირებულ ნომენკლატურასთან ერთად იქნა შემოღებული და ისიც ევროკავშირის საბჭოს 1987 წლის N 2658 განაწესით რეგულირდება.

თვალსაზრისითვის სქემაზე N 1 წარმოდგენილია ჰარმონიზირებული სისტემით (HS), კომბინირებული ნომენკლატურითა (CN) და TARIC-ით, ხორცის პროდუქციის სხვადასხვა სახეობებისათვის კოდების მინიჭების მაგალითი.

ევროკავშირის ისეთი სპეციფიური წესების გამოყენების მიზნით, რომელთა კოდირება TARIC-ის ათათანრიგიანი კოდების ფარგლებში ვერ მოხერხდა, ან მოხერხდა ნაწილობრივ, TARIC-ის ათათანრიგიანი კოდების გარდა არსებობს TARIC-ის დამატებითი ოთხთანრიგიანი კოდებიც. დამატებითი კოდები გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კომპონენტების, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო გადასახადების, ფარმაცევტულ მასალებზე გადასახადების და სხვა სპეციფიური საიმპორტო და/ან საექსპორტო ღონისძიებების რეალიზაციის მიზნით.

TARIC-ის კოდების და დამატებითი კოდების სტრუქტურა მოცემულია სქემაზე N 2.



სქემა N 2. TARIC-ისა და დამატებითი კოდების სტრუქტურა

TARIC-ი შეიცავს ინფორმაციას ევროკავშირის მიერ, მესამე ქვეყნებისათვის დაწესებული საბაჟო ტარიფების, სატარიფო ქვოტების, პრეფერენციული საბაჟო ტარიფების, ანტიდემინგური და საკომპენსაციო გადასახადების, საიმპორტო შეზღუდვებისა და აკრძალვების შესახებ, ასევე სხვა საჭირო ინფორმაციას. TARIC-ის ათთანრიგიანი კოდი, ევროკავშირის ბაზარზე საქონლის ექსპორტირებისას, საბაჟო დეკლარაციაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული.

ევროკავშირის ბაზარზე მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონლის საბაჟო ტარიფის დადგენა შესაძლებელია სპეციალური მატრიცის გამოყენებით, რომელიც TARIC-ის ინტენეტ-გვერდის შემდეგ მისამართზეა განთავსებული:

http://ec.europa.eu/taxation_customs/dds/en/tarhome.htm

საბაჟო ტარიფის განსაზღვრის მიზნით, შესაბამის უჯრებში (TARIC code და Country of origine/destination) შეტანილი უნდა იქნას TARIC-ის ათთანრიგიანი კოდი, საქონლის წარმოშობის ქვეყანა და დაეჭიროს „ლილაკს“ **Duty rates**. აღნიშნული მატრიცა იძლევა ასევე ინფორმაციას, თუ რომელი საკანონდებლო აქტებით რეგულირდება ევროკავშირში მითითებული საქონლის წარმოება, იმპორტი და სარგებლობს თუ არა რაიმე შეღავათებით (მაგალითად GSP) ევროკავშირის ბაზარზე მისი იმპორტი. ამავე დროს, „ლილაკზე“ **Restriction** დაჭერით აღნიშნული მატრიცა იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად ვრცელდება მითითებულ ქვეყანაში წარმოებულ საქონელზე ევროკავშირის ისეთი საიმპორტო

შეზღუდვები, როგორცაა მაგალითად, რაოდენობრივი შეზღუდვები, სატარიფო ქვოტები, დროებითი შეზღუდვები იმპორტზე სანიტარული და/ან ფიტოსანიტარული მოსაზრებების გამო და სხვა.


იმ შემთხვევაში თუ TARIC-ის ათნარიგიანი სასაქონლო კოდი უცნობია, მისი განსაზღვრა შესაძლებელია „ლილაკის“ **Brows** მეშვეობით.

სსენებული პროცესი გრაფიკული სახით აღწერილია სქემაზე N 3. სქემაზე მოცემულ შემთხვევაში ევროკავშირის ბაზარზე საქართველოში წარმოებული „ძვლებამოუცვლელი მაღალი ხარისხის საქონლის და ხბოს ხორცის“ (კოდი 0201202010) იმპორტისას საბაჟო ტარიფი იქნება: საქონლის საბაჟო ღირებულების⁵ 12,80 % + 176,80 ევრო / 100 კგ.-ზე

საგულისხმოა, რომ თუ ევროკავშირის ბაზარზე მესამე ქვეყნიდან იმპორტირებული საქონლისთვის, მასში შემცველი ინგრედიენტების გამო, გათვალისწინებულია რაიმე დამატებითი გადასახადი (სასურსათო პროდუქტებისათვის დამატებითი საიმპორტო გადასახადები მოქმედებს, მაგალითად, მათში შაქრის ან ფქვილის შემცველობის შემთხვევაში), მაშინ სქემაზე N 3 ასახულ მატრიცაში TARIC-ის კოდის და ექსპორტიორი ქვეყნის მითითების შემდეგ, ფანჯარაში გაჩნდება „ლილაკი“ **Additional Duties**. ამ „ლილაკზე“ დაჭერის შედეგად იხსნება დამატებითი ფანჯარა, რომელშიც პროდუქციის შემადგენელი ინგრედიენტების შესახებ მონაცემების შესაბამის უჯრაში მითითებით და „ლილაკზე“ = დაჭერით განისაზღვრება დამატებითი კოდი (**Additional code**), სწორედ ამ კოდის მიხედვით ხდება წარმოებულ სასურსათო პროდუქციის დამატებითი საიმპორტო გადასახადის განსაზღვრა. სსენებული პროცესი გრაფიკული სახით აღწერილია სქემაზე N 4.

სქემაზე N 4 მოცემულ შემთხვევაში საქართველოში წარმოებული საქონელი – შოკოლადის რძის მარცვალი - შეიცავს 6-9% რძის ცხიმს, 4-15% რძის პროტეინს, 5-25% გლუკოზას და 30-50% საქაროზას. ამ მონაცემების მეშვეობით დადგენილია დამატებითი კოდი (**Additional code**) – 7307 და დამატებითი გადასახადები. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კოდი ცნობილია, მისი ბოლო სამი ციფრი (დამატებითი კოდი სასოფლო-სამეურნეო კომპონენტების შემცველობაზე ყოველთვის ციფრით 7 იწყება) პირდაპირ შეიძლება იქნას მითითებული უჯრაში **or enter an additional code** და „ლილაკზე“ = დაჭერით შეიძლება განისაზღვროს დამატებითი გადასახადები.

⁵ იმპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადის დაანგარიშებისას, საქონლის ფასს, რომელიც იმპორტიორმა უშუალოდ გამყიდველს გადაუხადა, ემატება შეფუთვის, ლიცენზირების, ტრანსპორტირების და ყველა სხვა ის ხარჯი, რომელსაც იმპორტიორი გასწევს.



სქემა N 3. ევროკავშირის ბაზარზე მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებადი საქონლის საბაზო დავაჟების დადგენა TARIC-ის კოდების მეშვეობით

Duty Rates

Simulation date : 28/07/2008

TARIC code 1806207000

Country of origin/destination Georgia - GE (076)

Description

No restrictions

Composition of goods **Additional Duties**

(დამატებითი გადასახადები)

Import:	Third country duty: 15.40 % + EA R R	Regulation/Decision R2204/99 Regulation/Decision R0928/06
	Non preferential tariff quota: 43.00 %	
	Order number 090085 End date 31/12/2008	
	Tariff preference (SPGE): 0 % + EA (I)	Regulation/Decision R0980/05
Export:	Export refund (ingredients - information) (ALLTC):	R Regulation/Decision R1043/05

იმპორტის ნაწილში მოითხოვება, რომ საბაჟო გადასახადი არის **15.40 % + EA**. ნიშანი "EA" მიუთითებს, რომ ამ საქონლისათვის მასში შესაძლოა სასოფლო-სამეურნეო კომპონენტების გამო კიდევ დამატებითი გადასახადებია განსაზღვრული.

დამატებითი გადასახადის არსებობის შემთხვევაში, ფანჯარაში აუცილებლად გაჩნდება ლიდაკი - **Additional D duties**. ამ ლიდაკზე დაჭერისას გაიხსნება დამატებითი ფანჯარა.

Agricultural components, additional duties on sugar and flour contents
(სასოფლო-სამეურნეო კომპონენტი, დამატებითი გადასახადი შაქრისა და ფქვილის შემცველობისათვის)

Milk fat (რძის ცხიმი)	Milk proteins (რძის პროტეინი)	Starch/Glucose (გლეგოზა)	Sucrose/Invert sugar/Isoglucose (შაქარი)
>= 6 < 9	>= 5 < 25	>= 4 < 15	>= 30 < 50
or enter an additional code 307			

Additional code: **7307**

Amounts expressed in EUR/100kg

EA	ADSZ	ADFM
74.27	18.87	4.16

დამატებითი გადასახადის სხვადასხვა კომპონენტებისათვის ცალ-ცალკე განისაზღვრა **EA, ADSZ** და **ADFM**

თუ დამატებითი კოდი ცნობილია, მისი ბოლო სამი ციფრი (დამატებითი კოდი ეფექტულის ციფრით 7 იწყება) პირდაპირ შეიძლება იქნას მიითითებული უჯრაში **or enter an additional code** და „ლიდაკზე“ დაჭერით განისაზღვრება დამატებითი გადასახადები

შესაბამის უჯრებში პროდუქტის შემადგენელი ინგრედიენტების მიითითებს და „ლიდაკზე“ დაჭერით განისაზღვრება დამატებითი კოდი (Additional c ode), რაც აღნიშნული შემთხვევაში 7307-ს წარმოადგენს და დამატებითი გადასახადები

სქემა N 4. ევროკავშირის ბაზარზე მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონლის დამატებითი საბაჟო გადასახადის დადგენა TARIC-ის კოდის მეშვეობით

განხილულ შემთხვევაში დამატებითი გადასახადი სხვადასხვა კომპონენტებისათვის ცალ-ცალკე განისაზღვრა:

- EA (დამატებითი გადასახადი სასოფლო-სამეურნეო კომპონენტების შემცველობაზე) – 74,27 ევრო/100 კგ.-ზე,
- ADFM (დამატებითი გადასახადი ფქვილის შემცველობაზე) – 18,87

- ევრო/100 კგ.-ზე და
- ADSZ (დამატებითი გადასახადი შაქრის შემცველობაზე) – 4,16 ევრო/100 კგ.-ზე.

იმპორტის ნაწილში (Third country duty) მითითებულია, რომ საბაჟო გადასახადი არის: საქონლის საბაჟო ღირებულების 15,40% + EA, ე.ი. - საქონლის საბაჟო ღირებულების 15,40% + 74,27 ევრო/100 კგ.-ზე.

იმ შემთხვევაში თუ იმპორტის ნაწილში (Third country duty) მითითებული იქნებოდა მაგალითად: საქონლის საბაჟო ღირებულების 15,40 % + EA + ADSZ ან საქონლის საბაჟო ღირებულების 15,40% + EA + ADSZ + ADFM, მაშინ დამატებით გადასახადში შესაბამისად უნდა გაგვეთვალისწინებინა ADSZ-ის და ADFM-ის მონაცემებიც - 4,16 ევრო/100 კგ.-ზე და 18,87 ევრო/100 კგ.-ზე.

TARIC-ი შეიცავს ინფორმაციას ევროკავშირის ე.წ. სატარიფო ქვოტების შესახებაც. სატარიფო ქვოტების არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ბაზარზე საქონლის ცალკეული სახეობის იმპორტი, ქვოტით განსაზღვრული რაოდენობისთვის, ჩვეულებრივ საბაჟო ტარიფზე დაბალი განაკვეთით ხორციელდება. საიმპორტო ქვოტის შევსების შემდგომ საქონლის იმპორტი საბაჟო ტარიფის ჩვეულებრივი განაკვეთით იბეგრება. ევროკავშირის მიერ დაწესებულ ყოველ სატარიფო ქვოტას აქვს ექსტანრიგიანი რიგითი ნომერი, რომელიც განსაზღვრავს ქვოტირებული პროდუქციის რაოდენობას და ქვოტის მოქმედების პერიოდს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ექსტანრიგიანი რიგითი ნომერი TARIC-ის ათთანრიგიანი კოდის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს. ევროკავშირის სატარიფო ქვოტებს ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის N 1301 განაწესი არეგულირებს. ასე მაგალითად, მესამე ქვეყნებიდან ესპანეთსა და პორტუგალიაში შემცირებული ტარიფით – 50 ევრო/ტონა სიმინდის შეტანაზე, შესაბამისად, წელიწადში 2 მილიონი ტონისა და 500 000 ტონის ოდენობით ქვოტა დაწესებული.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის ცალკეულ ქვეყანაში საქონლის გარკვეული სახეობის იმპორტის რეგულირების აუცილებლობის შემთხვევაში, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ, საქონლის TARIC-ით განსაზღვრული ქვესახეობა კიდევ დაყონ და ამ მიზნით TARIC-ის ათთანრიგიან კოდს დამატებითი თანრიგები დაუმატონ. ასეთ ზომებს ევროკომისიის 1993 წლის N 2454 განაწესი არეგულირებს.

3. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი სააქციო გადასახადები

როგორც ცნობილია, სააქციო გადასახადი ე.წ. „ირიბ“ გადასახადს წარმოადგენს. ამ ტიპის გადასახადით, როგორც წესი, იბეგრება ალკოჰოლური ნაწარმი, თამბაქოს პროდუქცია და ნავთობ-პროდუქტები. საგულისხმოა, რომ სააქციო გადასახადის განაკვეთების დადგენა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ექსკლუზიური კომპეტენციაა და, შესაბამისად, მოკრებილი სააქციო გადასახადი სრულად შედის ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბიუჯეტში (განსხვავებით, მაგალითად, საბაჟო გადასახადისაგან, რომლის უდიდესი ნაწილი ევროკავშირის ბიუჯეტში შედის, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს იჭისი მხოლოდ 25 % რჩებათ).

საგულისხმოა, რომ სააქციო გადასახადებთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობა ევროკავშირის საბჭოს 1992 წლის 25 თებერვლის N 92/12 დირექტივით რეგულირდება. ამ საკანონმდებლო აქტმა ცვლილებები შეიტანა ევროკავშირის საბჭოს 1977 წლის 19 დეკემბრის N 77/799 დირექტივაში, პირდაპირი დაბეგვისა და დამატებითი ღირებულების გადასახადით (დღგ) დაბეგვისას ევროკავშირის წევრი ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებს შორის ურთიერთდახმარების შესახებ. შედეგად, ამ დირექტივის დებულებები საქონლის სააქციო გადასახადით დაბეგვრაზეც გავრცელდა.

სააქციო გადასახადების სფეროში ამჟამად მოქმედი ევროკავშირის კანონმდებლობა სამ ძირითად ნაწილად შეიძლება დაიყოს:

- მეთოდები, რომლის შესაბამისადაც კონკრეტული სასაქონლო ჯგუფებისათვის სააქციო გადასახადის დაანგარიშება ხორციელდება;
- მინიმალური სატარიფო ზღვარი, რომელიც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა დაიცვან სააქციო გადასახადით კონკრეტული საქონლის დაბეგვისას (მაგალითად, ევროკავშირში იმპორტირებულ 1 ჰექტოლიტრ სუფთა სპირტზე მინიმალური სააქციო გადასახადი 500 ევრო⁶);
- ძირითადი წესები, რომლებიც დაკავშირებულია სააქციო გადასახადს დაქვემდებარებული საქონლის წარმოებასთან, შენახვასთან და გადაადგილებასთან.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის საბჭოს 1992 წლის 25 თებერვლის

6 ევროკავშირის საბჭოს 1992 წლის 19 ოქტომბრის No 92/84/EEC დირექტივა

№ 92/12 დირექტივის თანახმად, ამ დირექტივის დებულებები არ ვრცელდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კუნძულ ჰელიგოლანდსა და ბუესინგენის ტერიტორიაზე, იტალიის რესპუბლიკის ლივინოსა და ლუგანოს ტბის იტალიურ ნაწილზე, ესპანეთის კანარის კუნძულებზე და ა.შ.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უფლება ეძლევათ, ავტონომიურად შემოიღონ სააქციზო გადასახადი არა მარტო საქონელზე, არამედ სააქციზო გადასახადს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტთან დაკავშირებულ მომსახურებაზეც. საბაჟო და დამატებითი ღირებულების გადასახადის მსგავსად, სააქციზო გადასახადი არ ეკისრება საქონელს, თუ იგი განკუთვნილია დიპლომატიური დაწესებულებებისათვის, ადგილსამყოფელი ქვეყნის მიერ აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლებისათვის.

ევროკავშირის საბჭოს 1992 წლის 25 თებერვლის N 92/12 დირექტივის მიხედვით, ევროკომისიის წინადადების საფუძველზე, ევროკავშირის საბჭომ, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ნება დართოს ევროკავშირის წევრ ცალკეულ ქვეყანას, მესამე ქვეყანასთან გააფორმოს შეთანხმება, რომელიც საქონლის იმპორტისას სააქციზო გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებულ შედეგათებს შეიცავს.

სააქციზო გადასახადებთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული პროცედურები, ისევე როგორც კომბინირებული ნომენკლატურის შემთხვევაში, ცენტრალიზებულად, ევროკომისიის მეშვეობით ხორციელდება. ამ საქმეში ევროკომისიას დახმარებას უწევს ე.წ. სააქციზო გადასახადების კომიტეტი, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შედგება, ხოლო თავმჯდომარე – ევროკომისიის პასუხისმგებელი პირია.

4. ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული საქონლის დაბეგვრითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ზომიერითი თავისებურება

ევროკავშირის ბაზარზე საქონლისა და მომსახურების იმპორტისას ფართოდ გამოიყენება დამატებითი ღირებულების გადასახადით (დღგ) დაბეგვრა. ევროკავშირში დღგ-ით იბეგვრება პრაქტიკულად ყველა კომერციული საქმიანობა, რომელიც უკავშირდება პროდუქციის წარმოებასა და დისტრიბუციას, ასევე მომსახურების გაწევას.

დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოღებულია იმ მიზნით, რომ ევროკავშირის კომპანიებსა და მესამე ქვეყნების იმპორტიორებს თანაბარ პირობებში შეეძლოთ კომერციული საქმიანობის წარმოება. დღგ-ს გადახდა ხდება საქონლის მიერ ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის და ევროკავშირის ბაზარზე მოხვედრის მომენტში, რათა ხსენებული პროდუქცია ევროკავშირში წარმოებულ ანალოგიურ პროდუქციასთან კონკურენტუნარიან გარემოში მყისიერად აღმოჩნდეს. მომსახურებაზე დღგ-თი დაბეგვრა ხორციელდება მომსახურების გაწევის ადგილზე.

ევროპის პირველ ეკონომიკურ გაერთიანებაში შესული ექვსი ქვეყანა (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი), გაერთიანების განვითარების პირველ ეტაპზე, არაპირდაპირი დაბეგვის სხვადასხვა ფორმას იყენებდა, რომელთა აკრეფა მრავალსაფეხურიან პროცესი იყო. დღგ-თი დაბეგვრა საქონლის წარმოების ყოველ კონკრეტულ ეტაპზე ხდებოდა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა იმის გარკვევას, თუ რა ოდენობის დამატებითი ღირებულების გადასახადს შეიცავდა საქონლის საბოლოო ღირებულება. შესაბამისად, აღნიშნული ქვეყნებისათვის ცხადი გახდა, რომ ჭეშმარიტად ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნისათვის აუცილებელი იყო ასევე ერთიანი, გამჭვირვალე საგადასახადო სისტემის საფუძვლების ჩამოყალიბება.

1977 წლის 17 მაისს ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა დაამტკიცეს დღგ-ს სფეროში წვერი ქვეყნების კანონმდებლობების პარმონიზებისა და დღგ-ს ერთიანი სისტემის შექმნის შესახებ დირექტივა. ამ დირექტივამ დღგ-ს საერთო ევროპული სისტემის საფუძვლები ჩამოაყალიბა. გარდა დღგ-სთან დაკავშირებული ზოგადი წესების შემოღებისა, ამ ღონისძიებით შესაძლებელი გახდა დათვლილიყო ევროკავშირის წვერი ქვეყნების მიერ მოკრებილი დღგ-დან, ევროკავშირის ბიუჯეტში მათ მიერ შეტანილი წვლილი, რაც ევროკავშირის ბიუჯეტის დაგეგმვისას, ძალზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორს წარმოადგენს.

ევროკავშირის წვერი ცალკეული ქვეყანა საქონლის სხვადასხვა სახეობაზე სხვადასხვა ოდენობის დღგ-ს აწესებს, თუმცა ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, ევროკავშირის წვერი ცალკეული ქვეყნის მიერ საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული დღგ-ს ქვედა ზღვარი 15 %-ის, ხოლო ზედა ზღვარი 25 %-ის ტოლი უნდა იყოს.

ევროკავშირის წვერ ყველა ქვეყანაში ე.წ. დღგ-ს მმართველი ორგანო ფუნქციონირებს. ეს ორგანო დღგ-ს მუდმივად განახლებადი

სისტემის მართვასა და შესაბამის ინფორმაციულ ბაზაში ცვლილებების შეტანას უზრუნველყოფს. მაგალითად, ბელგიის სამეფოში ასეთი ორგანო ფინანსთა სამინისტროშია შექმნილი, დანიის სამეფოში – გადასახადების სამინისტროში, კვიპროსში - საბაჟო და სააქციაზო დეპარტამენტში და ა.შ.

დღგ-სთან დაკავშირებულმა ევროკავშირის კანონმდებლობამ, ბუნებრივია, დროთა განმავლობაში მრავალი ცვლილება განიცადა. მაგალითად, ევროკავშირის საბჭომ 2006 წლის 28 ნოემბერს მიიღო N 2006/112 დირექტივა, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ, იმპორტირებული საქონლისა და მომსახურების დღგ-თი დაბეგვრა. ამავე დროს, ხსენებული დირექტივა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ავტონომიური ღონისძიებების გატარების ფართო შესაძლებლობას უტოვებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროკავშირის წევრი ქვეყნის მიერ შემოღებული დღგ 15%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამის მიუხედავად, 2006 წლის 28 ნოემბრის N 2006/112 დირექტივის შესაბამისად, საქონლისა და მომსახურების ზოგიერთი სახეობისათვის ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის დასაშვებია დღგ-ს შემცირებული ტარიფის გამოყენება, არანაკლებ 5%-ის ოდენობით. შედეგად, დღგ-ს გამოყენების ზოგადი პრინციპები, ევროკომისიის მიერ ევროკავშირის წევრი ცალკეული ქვეყნებისათვის მინიჭებული მთელი რიგი შეღავათების შედეგად, გარკვეულწილად ირღვევა.

2006 წელს ევროკომისიამ სპეციალური კვლევა ჩაატარა, რათა შეეფასებინა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ დღგ-ს შემცირებული ტარიფების გამოყენების გავლენა ევროკავშირის ერთიანი ბაზრის გამართულ ფუნქციონირებაზე. შესაბამისი დასკვნა 2007 წელს გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული საქონლისა და მომსახურების დღგ-თი დაბეგვის პროცენტი ევროკავშირის ცალკეული წევრი ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვანად განსხვავდება. დასკვნის შესაბამისად, უფრო უნიფიცირებული დღგ-ს სისტემა გააუმჯობესებდა ევროპელი მომხმარებლის პირობებს, შეამცირებდა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და მთლიანად ევროგაერთიანების ადმინისტრაციულ დანახარჯებს. ამავე დროს, კვლევის შედეგების მიხედვით, დღგ-ს შემცირებული ტარიფი კონკრეტულ სექტორში ზრდის მწარმოებლობას და ამცირებს სტრუქტურულ უმუშევრობას. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ დღგ-ს შემცირებული ტარიფების სისტემის უნიფიცირება გაზრდიდა ევროკავშირის ბაზრის ეფექტურობას და რომ ხსენებული შემცირებული ტარიფების გამოყენება უნიფიცირებულად და მსოფლიო ცალკეული სექტორებისთვის იქნებოდა მიზანშეწონილი.

5. ინტერნეტ-ცნობარი ევროკავშირის ბაზარზე საქონლის ექსპორტიორებისათვის

2004 წლის თებერვალში ევროკავშირმა ამოქმედდა ინტერნეტ-ცნობარი - EU export help-desk (<http://exporthelp.europa.eu/>), რომლითაც მესამე ქვეყნების ექსპორტიორებს ევროკავშირის ბაზარზე შედგენისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება მნიშვნელოვნად გაუადვილა.

ევროკომისიის მიერ შემუშავებული ინტერნეტ-ცნობარი მესამე ქვეყნების ექსპორტიორებისთვის გახლავთ განკუთვნილი. იგი ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ევროკავშირის საბაჟო ტარიფების, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი სააქციზო და დამატებითი ღირებულების გადასახადების, ევროკავშირში იმპორტის დროს აუცილებელი საბაჟო დოკუმენტაციის და მეწარმეებისათვის სასარგებლო სავაჭრო სტატისტიკის შესახებ.

ინტერნეტ-ცნობარის გამოყენებით, მესამე ქვეყნების ექსპორტიორებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებითაც, ვრცელდება თუ არა (და თუ ვრცელდება, რა ოდენობით) მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე ევროკავშირის სავაჭრო შეღავათები. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია, რათა განვითარებადმა ქვეყნებმა უკეთ შეძლონ ევროკავშირის სავაჭრო შეღავათებით სარგებლობა. აღსანიშნავია, რომ არსებული სტატისტიკით, დღესდღეობით, განვითარებად ქვეყნებში წარმოებული იმ საქონლის სრული მოცულობიდან, რომელზეც ევროკავშირის სავაჭრო შეღავათები ვრცელდება, ევროკავშირის ბაზარზე მხოლოდ 52 %-ის ექსპორტირება ხდება.

ინტერნეტ-ცნობარი დროთა განმავლობაში ვითარდება და სულ უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს. მისი ფუნქციონირების პირველ ეტაპზე, ინტერნეტ-ცნობარი იძლეოდა ინფორმაციას, ევროკავშირის საიმპორტო ტარიფებთან, მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული საქონლის მოცულობასთან, მის წარმოშობასთან, საბაჟო შეღავათებთან და საბაჟო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, ასევე ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების ვაჭრობის სტატისტიკას.

შემდგომ ეტაპზე, ინტერნეტ-ცნობარზე ამოქმედდა სადისკუსიო ფორუმი, რომლის საშუალებითაც, მესამე ქვეყნების ექსპორტიორებს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების იმპორტიორებთან მათთვის საინტერესო საკითხებზე, აზრთა ურთიერთგაცვლა შეუძლიათ. მოგვიანებით, ინტერნეტ-ცნობარის საინფორმაციო ბაზა კიდევ უფრო გამდიდრდა და ამჟამად შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციასაც, როგორცია

ევროკავშირის ბაზარზე შესაძვე ქვეყნების საქონლის იმპორტირებისათვის აუცილებელი ტექნიკური და სანიტარული მოთხოვნები, პროდუქციის მარკირების წესები და სხვა.

ქვემოთ მოცემულია მთელი რიგი სასარგებლო განმარტებები, ინტერნეტ-ცნობარის საშუალებით ინფორმაციის მოძიებასთან დაკავშირებით:

ინფორმაცია ევროკავშირის საიმპორტო მოთხოვნებსა და ევროკავშირის წვერი ქვეყნების შიდა გადასახადებზე (დამატებითი ღირებულების და სააქტიზო გადასახადები) შეიძლება მოძიებული იქნას ინტერნეტ-ცნობარის განყოფილებაში - **Requirements and Taxes**. ინფორმაციის მოსაპოვებლად, უნდა მიუთითოთ კომბინირებული ნომენკლატურით მინიჭებული სასაქონლო კოდი, საქონლის წარმოშობის ქვეყანა, ასევე ევროკავშირის წვერი ის ქვეყანა, რომელშიც ხსენებული საქონლის ექსპორტი ხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო კოდი უცნობია, ინტერნეტ-ცნობარის აღნიშნული განყოფილება იძლევა საშუალებას საქონლის სახეობის (მაგალითად, “ხორცი”) მითითების გზით, მოიძებნოს მისი ორთხანრიგიანი, ოთხთხანრიგიანი, ექვსთხანრიგიანი და რვათხანრიგიანი კოდი, მაგალითად: ხორცის პროდუქციას მინიჭებული აქვს კოდი 02. საქონლის ხორცის კატეგორიას “ახალი” მინიჭებული აქვს კოდი 0201. შემდეგ ქვეგუფის უკვე ექვსნიშნა კოდები გააჩნია – “საქონლის ახალი ძვლიანი ხორცი” – 020120. როგორც წინა თავებში იქნა აღნიშნული, ეს ქვეგუფი კომბინირებული ნომენკლატურის რვათხანრიგიანი კოდის მქონე პროდუქციის ქვეგუფად შეიძლება დაიყოს.

სასაქონლო კოდის დადგენის შემდეგ, ინტერნეტ-ცნობარი იმპორტირებისათვის საჭირო ამომწურავ ინფორმაციას იძლევა. მაგალითისათვის, განვიხილოთ საქართველოდან “საქონლის ახალი ძვლიანი ხორცის” ბელგიის სამეფოში ექსპორტის შემთხვევა. შესაბამისი კოდის მითითებით, ინტერნეტ-ცნობარი იძლევა ყველა იმ მოთხოვნების ჩამონათვალს, რომელიც უნდა სრულდებოდეს საქართველოდან ბელგიის სამეფოში ხსენებული პროდუქციის იმპორტირებისას:

- უნდა ახლდეს ექსპორტირებული ხორცის პროდუქციის ჯანმრთელობის უზენებლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- 200 კგ-ზე მეტი პროდუქციის ექსპორტის შემთხვევაში უნდა ახლდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის საიმპორტო ლიცენზია;
- დაცული უნდა იყოს სასურსათო პროდუქციის მარკირების შესაბამისი წესები;

- საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს ორგანული პროდუქტების შესახებ ევროკავშირის მოთხოვნებს, ა. შ.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, როგორც უკვე იყო ნახსენები, ინტერნეტ-ცნობარი იძლევა ინფორმაციას ექსპორტირებულ საქონელზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების (ჩვენს შემთხვევაში ბელგიის სამეფოს) მიერ დაწესებულ გადასახადებთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, საქართველოდან “საქონლის ახალი ძვლიანი ხორცის” ბელგიის სამეფოში იმპორტის შემთხვევაში დამატებითი ღირებულების გადასახადი 6%, ხოლო სააქციზო გადასახადი 0% იქნებოდა.

დამატებით, ინტერნეტ-ცნობარი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ვრცელ ინფორმაციას, ევროკავშირის კონკრეტულ ქვეყანაში (ჩვენ შემთხვევაში ბელგიის სამეფოში) იმპორტირებული ნებისმიერი პროდუქტის ტრანსპორტირების, დაზღვევის, საბაჟო პროცედურების და დამატებითი ღირებულებისა და სააქციზო გადასახადების შესახებ.

ინფორმაცია ევროკავშირის საიმპორტო ტარიფებზე შეიძლება მოძიებული იქნას ინტერნეტ-ცნობარის განყოფილებაში **Import Tariffs**. ამჯერად უნდა მოხდეს პროდუქციის ათთანრიგიანი **TARIC**-ის კოდის გამოყენება და მითითებული უნდა იქნას საქონლის წარმოშობის ქვეყანა. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში - ბელგიის სამეფოში საქართველოდან იმპორტირებული “საქონლის ახალი ძვლიანი ხორცის” ქვეჯგუფისთვის “მაღალი ხარისხის საქონლისა და ხბოს ხორცი” (კოდი 0201100010) საბაჟო გადასახადი შეადგენს პროდუქციის საბაჟო ღირებულების 12%-ს დამატებული 176,8 ევრო/100 კგ. საქონელზე.

ინფორმაცია ევროკავშირის საიმპორტო შეღავათებზე შეიძლება მოპოვებული იქნას ინტერნეტ-ცნობარის განყოფილებაში **Customs Documents**. აქ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც ევროკავშირში იმპორტირებულ საქონელს უნდა ახლდეს თან, რათა მასზე შესაბამისი საიმპორტო შეღავათები გაგრძელდეს. შევნიშნავთ, რომ ხსენებული შეღავათები ქვეყანათა სამ ჯგუფზე ვრცელდება. ესენია:

- ევროკავშირის პრეფერენციათა განზოგადოებული სისტემით მოსარგებლე ქვეყნები;
- აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის ქვეყნები, რომელთაც სპეციალური შეღავათები 2000 წელს მიენიჭათ და
- ქვეყნები, რომელთანაც ევროკავშირს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება აქვთ გაფორმებული.

ინფორმაციას პროდუქციის წარმოშობის იმ ნორმების შესახებ, რომელთა დაცვა აუცილებელია, რათა ხსენებული საქონლის ევროკავშირში იმპორტირებისას, მასზე შედგათიანი საიმპორტო ტარიფები გაერცვლდეს, ინტერნეტ-ცნობარის განყოფილება Rules of Origin იძლევა.

მარკეტინგული თვალსაზრისით სასარგებლო სტატისტიკურ ინფორმაციას, მაგალითად სხვადასხვა სახეობის საქონლის ევროკავშირში იმპორტის მოცულობის შესახებ იძლევა ინტერნეტ-ცნობარის განყოფილება Trade Statistics. მონაცემთა ბაზა შედგენილია ნებისმიერი მესამე ქვეყნიდან იმპორტისათვის, როგორც მთლიანად ევროკავშირის ბაზარზე, ასევე მის ცალკეულ წევრ ქვეყნებში, შესაბამისი პერიოდების მიხედვით. ასე მაგალითად, 2007 წელს საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე საქონლის ხორცის ექსპორტი არ განუხორციელებია, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანმა 2007 წელს ევროკავშირის ბაზარზე 104,1 ტონა საქონლის ხორცი შეიტანა.

იმის გასარკვევად, თუ მარკეტინგული თვალსაზრისით რამდენად ხელსაყრელია ევროკავშირის ამა თუ იმ ქვეყანაში საქონლის ამა თუ იმ სახეობის ექსპორტის განხორციელება, შეიძლება შემოწმდეს ინტერნეტ-ცნობარის განყოფილებაში Market Place.

6. ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან იმპორტირებადი ზოგიერთი საქონლის საბაჟო, დამატებითი ღირებულებისა და სააქციზო გადასახადით დაბავვის კონკრეტული მაგალითები

როგორც ამ პუბლიკაციის წინა თავებში იქნა აღნიშნული, მესამე ქვეყნიდან ევროკავშირის ბაზარზე საქონლის იმპორტი, ძირითადად, სამი სახის – საბაჟო, დამატებითი ღირებულებისა და სააქციზო გადასახადით იბეგრება. აღინიშნა ისიც, რომ სხვადასხვა პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე სხვადასხვანაირად იბეგრება და, შესაბამისად, ზემოაღნიშნული გადასახადები, საქონლის სახეობის მიხედვით იცვლება. უფრო მეტიც, თუ საქონლის ერთ კონკრეტულ სახეობაზე საბაჟო გადასახადი ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში ერთნაირია, დამატებითი ღირებულებისა და სააქციზო გადასახადების ოდენობა ევროკავშირის წევრ ქვეყნების მიერ, სხვადასხვა ოდენობით არის დაწესებული.

ამ ფონზე, იმისათვის, რომ ქართველმა ექსპორტიორებმა ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის დაბეგრის პირობები უფრო იოლად

დაადგინონ, დეტალურად იქნა აღწერილი ევროკავშირის მიერ მესამე ქვეყნების ექსპორტიორებისათვის შექმნილი ინტერნეტ-ცნობარის ფუნქციონირების სპეციფიკა. ნაჩვენები იქნა, თუ როგორ და რა სახის ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებულ საქონელზე დაწესებულ, საბაჟო, დამატებითი ღირებულებებისა და სააქციზო გადასახადების ტარიფებთან დაკავშირებით.

პუბლიკაციის წინა თავებში მოცემული ინფორმაციის პრაქტიკული გამოყენების სადემონსტრაციოდ, ქვემოთ, წარმოდგენილია ცხრილები, რომლებშიც მოცემულია, თუ როგორ იბეგრება ევროკავშირის ბაზარზე საქართველოში წარმოებული ზოგიერთი სახეობის საქონელის იმპორტი საბაჟო, დამატებითი ღირებულებისა და სააქციზო გადასახადებით. აღნიშნული ცხრილები ევროკავშირის წევრი ოცდაშვიდივე ქვეყნის მიხედვით გახლავთ შედგენილი. საქონლის თითოეული სახეობისათვის შედგენილ ცხრილს თან ახლავს საქონლის ამ სახეობის ერთგვარი აღწერა, კარმონიზირებული სისტემის, კომბინირებული ნომენკლატურისა და TARIC-ის კოდების გამოყენებით. აღნიშნული აღწერა ასევე შეიცავს ინფორმაციას, საქონლის ამ კონკრეტული სახეობის ევროკავშირში იმპორტისას არსებული საბაჟო შეღავათებისა და სატარიფო ქვოტების შესახებ.

ახალი ყურძნისაგან დაწურული ღვინო

პროდუქტის კლასიფიკაცია:

- 22 – HS თავი - “აღკოჰოლური სასმელები, სპირტები და ძმარი”;
- 2204 – HS ჯგუფი - “ახალი ყურძნისაგან დაწურული ღვინო, შემავრებული ღვინის ჩათვლით”;
- 2204 29 – HS ქვეჯგუფი - “სხვა” (იგულისხმება შუშხუნა ღვინისაგან – კოდი 220410, დამატებითი სპირტით შემავრებული ღვინისაგან – კოდი 220421 განსხვავებული ღვინოები);
- 2204 29 75 – კომბინირებული ნომენკლატურის ქვეჯგუფი “სხვა” (იგულისხმება 2204 29 კოდის მქონე ღვინოების ჩამონათვალისაგან - ბორდო, ბურგონი, ტოკაი და ა.შ. - განსხვავებული ღვინოები);
- 2204 29 75 10 – TARIC-ის ქვეჯგუფი “ახალი ყურძნისაგან დაწურული ღვინო”;
- მესამე ქვეყნებისათვის დაწესებული ტარიფი – 9,9 ევრო ჰექტოლიტრზე (1 ჰექტოლიტრი – 1000 ლიტრი);
- სატარიფო შეღავათი (მათ შორის GSP-ს ფარგლებში) გათვალისწინებული არ არის;
- სატარიფო ქვოტა 20 000 ჰექტოლიტრამდე პროდუქციის იმპორტზე – 8 ევრო ჰექტოლიტრზე.

N	ქვეყანა	საბაჟო გადასახადი 1000 ლიტრზე	დღგ (%)	სააქციზო გადასახადი 1000 ლიტრზე
1	ავსტრია	9.9 ევრო	20	0
2	ბელგია	9.9 ევრო	21	47.0998 ევრო
3	ბულგარეთი	9.9 ევრო	22	90 ბულგარული ლევი
4	გერმანია	9.9 ევრო	19	0
5	დანია	9.9 ევრო	25	614 დანიური კრონა
6	დიდი ბრიტანეთი	9.9 ევრო	17,5	194.8 ფუნტი (ალკოჰოლის შემცველობა 5.5%-15 %)
7	ესტონეთი	9.9 ევრო	18	1040 ესტონური კრონი
8	ესპანეთი	9.9 ევრო	16	0
9	ირლანდია	9.9 ევრო	21	273 ევრო (ალკოჰოლის შემცველობა 5.5%-15 %)
10	იტალია	9.9 ევრო	20	0
11	კვიპროსი	9.9 ევრო	15	45 ევრო
12	ლატვია	9.9 ევრო	18	30 ლატვიური ლატი
13	ლიტვა	9.9 ევრო	18	180 ლიტვიური ლიტასი
14	ლუქსემბურგი	9.9 ევრო	12	0
15	მალტა	9.9 ევრო	18	0
16	ნიდერლანდები	9.9 ევრო	19	68.54 ევრო
17	პოლონეთი	9.9 ევრო	22	136 პოლონური ზლოტი
18	პორტუგალია	9.9 ევრო	12	0
19	რუმინეთი	9.9 ევრო	19	0
20	საბერძნეთი	9.9 ევრო	19	45 ევრო
21	საფრანგეთი	9.9 ევრო	19.6	3.4 ევრო
22	სლოვაკეთი	9.9 ევრო	19	0
23	სლოვენია	9.9 ევრო	20	0
24	უნგრეთი	9.9 ევრო	20	0
25	ფინეთი	9.9 ევრო	22	233 ევრო
26	შვედეთი	9.9 ევრო	25	21.58 ევრო (ალკოჰოლის შემცველობა 8.5%-15 %)
27	ჩეხეთი	9.9 ევრო	19	0

გაურჩეველი თხილი

პროდუქტის კლასიფიკაცია:

- 08 – HS თავი - „საჭმელი ხილი და თხილოვანი ნაყოფი“;
- 0802 – HS ჯგუფი - “სხვა თხილოვანი ნაყოფი” (იგულისხმება ქოქოსის კაკლის, ბრაზილიური თხილისაგან და სხვა თხილოვანი ნაყოფისაგან (კოდით 0801) განსხვავებული სახეობა);
- 0802 21 – HS ქვეჯგუფი “თხილი”;
- 0802 21 00 – კომბინირებული ნომენკლატურის ქვეჯგუფი “გაურჩეველი თხილი”;
- საბაჟო ტარიფი მესამე ქვეყნებისათვის - 3,2 %;
- საქართველო, როგორც ევროკავშირის GSP+-ის ბენეფიციარი ქვეყანა, სარგებლობს სპეციალური შეღავათით და ქართველი ექსპორტიორისათვის ევროკავშირის ბაზარზე თხილის იმპორტზე საბაჟო გადასახადი 0-ის ტოლია;
- ამ პროდუქციის იმპორტზე სატარიფო ქვოტა არ არის დაწესებული.

N	ქვეყანა	საბაყო გადასახადი (%)	დღბ (%)	სააქციზო გადასახადი
1	ავსტრია	0	10	0
2	ბელგია	0	6	0
3	ბულგარეთი	0	20	0
4	გერმანია	0	7	0
5	დანია	0	25	14.25 დანიური კრონა/1კგ-ზე
6	დიდი ბრიტანეთი	0	0	0
7	ესტონეთი	0	18	0
8	ესპანეთი	0	7	0
9	ირლანდია	0	0	0
10	იტალია	0	4	0
11	კვიპროსი	0	0	0
12	ლატვია	0	18	0
13	ლიტვა	0	3	0
14	ლუქსემბურგი	0	12	0
15	მალტა	0	0	0
16	ნიდერლანდები	0	6	0
17	პოლონეთი	0	3	0
18	პორტუგალია	0	12	0
19	რუმინეთი	0	19	0
20	საბერძნეთი	0	9	0
21	საფრანგეთი	0	5.5	0
22	სლოვაკეთი	0	19	0
23	სლოვენია	0	8.5	0
24	უნგრეთი	0	20	0
25	ფინეთი	0	17	0
26	შვედეთი	0	12	0
27	ჩეხეთი	0	9	0

ოხრახუში

პროდუქტის კლასიფიკაცია:

- 07 – HS თავი - “საკვები ბოსტნეული”;
- 0709 – HS ჯგუფი - “სხვა ახალი ბოსტნეული” (იგულისხმება კარტოფილის - კოდი 0701, პამიდორის - კოდი 0702, ხახვის - კოდი 0703 და ბოსტნეულის სხვა სახეობებისაგან განსხვავებული პროდუქტები);
- 0709 90 – HS ქვეჯგუფი - “სხვა” (იგულისხმება ასპარაგუსისაგან - კოდი 070920, ისპანახისაგან - კოდი 070970, სოკოსაგან - კოდი 070951 და ა.შ. განსხვავებული სახეობა);
- 0709 90 90 – კომბინირებული ნომენკლატურის ქვეჯგუფი “სხვა” (იგულისხმება ზეთისხილისაგან - კოდი 07099031, თაღგამისაგან - 07099050, ყაბაყისაგან - კოდი 07099070 და სხვა, განსხვავებული სახეობა);
- 0709 90 90 40 – TARIC-ის ქვეჯგუფი “ოხრახუში”;
- მესამე ქვეენებისათვის დაწესებული საბაჟო ტარიფი - 12,8 %;
- საქართველო, როგორც ევროკავშირის GSP+-ის ბენეფიციარი ქვეყანა, სარგებლობს სპეციალური შეღავათით და ქართველი ექსპორტიორისათვის ევროკავშირის ბაზარზე ოხრახუშის იმპორტზე საბაჟო გადასახადი 0-ის ტოლია;
- ამ სახის საქონლის იმპორტზე სატარიფო ქვოტა დაწესებული არ არის.

N	ქვეყანა	საბაჟო გადასახადი (%)	დღგ (%)	სააქციზო გადასახადი
1	ავსტრია	0	10	0
2	ბელგია	0	6	0
3	ბულგარეთი	0	20	0
4	გერმანია	0	7	0
5	დანია	0	25	0
6	დიდი ბრიტანეთი	0	0	0
7	ესტონეთი	0	18	0
8	ესპანეთი	0	4	0
9	ირლანდია	0	0	0
10	იტალია	0	4	0
11	კვიპროსი	0	0	0
12	ლატვია	0	18	0
13	ლიტვა	0	18	0
14	ლუქსემბურგი	0	3	0
15	მალტა	0	0	0
16	ნიდერლანდები	0	6	0
17	პოლონეთი	0	3	0
18	პორტუგალია	0	5	0
19	რუმინეთი	0	19	0
20	საბერძნეთი	0	9	0
21	საფრანგეთი	0	5.5	0
22	სლოვაკეთი	0	19	0
23	სლოვენია	0	8.5	0
24	უნგრეთი	0	20	0
25	ფინეთი	0	17	0
26	შვედეთი	0	12	0
27	ჩეხეთი	0	9	0

ვაშლის პიურე, კომპოტის ჩათვლით

პროდუქტის კლასიფიკაცია:

- 20 – HS თავი - “ბოსტნეულის, ხილის, თხილეულის ნაწარმი”;
- 2007 – HS ჯგუფი - “ჯემები, ხილის უელეები, ხილისა და თხილეულის პიურე”;
- 2007 99 – HS - ქვეჯგუფი “სხვა” (იგულისხმება ტროპიკული ხილისა და ციტრუსის ნაწარმისაგან განსხვავებული პროდუქტები);
- 2007 99 50 – კომბინირებული ნომენკლატურის ქვეჯგუფი “ნაწარმი, რომელშიც შაქრის შემცველობა აღემატება ნაწარმის საერთო მასის 13%-ს და არ აღემატება ნაწარმის საერთო მასის 30%-ს”;
- 2007 99 50 20 – TARIC-ის ქვეჯგუფი “ვაშლის პიურე, კომპოტის ჩათვლით”;
- საბაჟო ტარიფი მესამე ქვეყნებისათვის – საბაჟო ღირებულების 24 % + 4,2 ევრო/100 კგ-ზე;
- საქართველო, როგორც ევროკავშირის GSP+-ის ბენეფიციარი ქვეყანა, სარგებლობს სპეციალური შეღავათით და ქართველი ექსპორტიორისათვის ევროკავშირის ბაზარზე ვაშლის პიურესა და კომპოტის იმპორტზე საბაჟო გადასახადი უდრის 4,2 ევროს 100 კგ-ზე;
- ამ საქონლის იმპორტზე სატარიფო ქვოტა არ არის დაწესებული.

N	ქვეყანა	საბალო გადასახადი (%)	დღბ (%)	სააქციზო გადასახადი
1	ავსტრია	0	10	0
2	ბელგია	0	6	0
3	ბულგარეთი	0	20	0
4	გერმანია	0	7	0
5	დანია	0	25	14.25 დანიური კრონა/1კგ-ზე
6	დიდი ბრიტანეთი	0	0	0
7	ესტონეთი	0	18	0
8	ესპანეთი	0	7	0
9	ირლანდია	0	0	0
10	იტალია	0	10	0
11	კვიპროსი	0	0	0
12	ლატვია	0	18	0
13	ლიტვა	0	18	0
14	ლუქსემბურგი	0	3	0
15	მაღტა	0	0	0
16	ნიდერლანდები	0	6	0
17	პოლონეთი	0	7	0
18	პორტუგალია	0	12	0
19	რუმინეთი	0	19	0
20	საბერძნეთი	0	9	0
21	საფრანგეთი	0	5.5	0
22	სლოვაკეთი	0	19	0
23	სლოვენია	0	8.5	0
24	უნგრეთი	0	20	0
25	ფინეთი	0	17	0
26	შვედეთი	0	12	0
27	ჩეხეთი	0	9	0

დანართი

კუზლიასციაში გამოყენებული ევროკავშირის საკანონმდებლო დოკუმენტები⁷

- ევროკავშირის საბჭოს 1987 წლის 23 ივლისის N 2658 განაწესი, კომბინირებული ნომენკლატურის შესახებ;
- ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 31 აგვისტოს N 1301 განაწესი, სატარიფო ქვოტების ადმინისტრირებისა და იმპორტის ლიცენზიების შესახებ;
- ევროკომისიის 1993 წლის 2 ივლისის No 2454 განაწესი, ევროგაერთიანების საბაჟო კოდექსის შესახებ;
- ევროკავშირის საბჭოს 1992 წლის 25 თებერვლის N 92/12 დირექტივა, სააქციზო გადასახადის მოქმედების ძირითადი პრინციპების შესახებ;
- ევროკავშირის საბჭოს 1977 წლის 19 დეკემბრის N 77/799 დირექტივა, პირდაპირი დაბეგვრის სფეროში ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთდახმარების შესახებ;
- ევროკავშირის საბჭოს 1977 წლის 17 მაისის N 388 დირექტივა, დღგ-ს სფეროში ევროკავშირის წევრ ქვეყნების კანონმდებლობების ჰარმონიზებისა და დღგ-ს ერთიანი სისტემის შექმნის შესახებ;
- ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 28 ნოემბრის N 2006/112 დირექტივა, დღგ-ს ერთიანი სისტემის შესახებ;
- ევროკავშირის საბჭოს 1992 წლის 19 ოქტომბრის N 92/84 დირექტივა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, ალკოჰოლურ პროდუქციაზე სააქციზო გადასახადის ტარიფის მიახლოების შესახებ.

⁷ აღნიშნული დოკუმენტების სრული ტექსტები იხილეთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ვებ-გვერდზე: www.eugbc.net – EUGBC Brochures

SUMMARY

Taxation of goods imported into the European Union market

1. EU's Tariff policy in trade with third countries

The European Union formed itself as a truly common economic space. The EU is a customs union of its member states, which means that a common customs tariffs are applied throughout the whole border of the union.

A third-country exporter to the EU market, apart from the customs fees, also pays so-called internal taxes – Value Added Tax (VAT) and excise duties. The present publication intends to provide Georgian exporters with information on specific issues regarding the EU import tariff system, as well as internal taxes which are imposed by the EU member states. The information provided in the publication may also be helpful when planning the business activities on the EU market.

In the beginning, the publication outlines main characteristics of the EU import tariff system, i.e. EU import policy. Further, it speaks about the coding systems applied for the classification of goods, which are to be imported into the EU market. The publication also touches upon the VAT and excise duties in the EU member states. In addition, it gives some useful recommendations on functioning of EU export help-desk.

In the final part the publication presents data on customs, VAT and excise duties for some agricultural products, as well as classification of products in accordance with different coding systems. The data includes import tariffs of all 27 member states of the European Union and helps identifying a favourable EU member state for export.

2. Coding systems for classification of goods on the EU market

There are more than 10 000 categories of products imported from third countries to the EU market. Obviously, it would be almost impossible to introduce and manage import tariffs for such huge amount of products without strict, but flexible classification of goods.

The publication speaks about all coding systems, which are used on the EU

market for the classification of products. It is important to note that systems are designed in a way that each system represents a subdivision of the previous one and divides a product category into further sub-categories. Those coding systems are:

- The Harmonized Commodity Description and Coding System;
- Combined Nomenclature of the tariff and statistical nomenclature and the Common Customs Tariff;
- Integrated tariff of the European Communities (TARIC);

This section of the publication demonstrates how to find a customs tariff for a third country product, as well as so-called additional import duties using TARIC matrix. In addition, it explains how the import tariff quotas are regulated in the EU countries.

Further, this part explores each system and demonstrates how one category of goods can be split into sub-categories. It also explains in which cases and in accordance to which coding system a product may have 2,4,6,8 or 10 digit codes.

3. Excise duties in the EU member states

Excise duty, which is a so-called “indirect tax” falls under the competence of the EU member states. The EU member states autonomously define rates of excise duties as well as those geographic areas which enjoy the excise duty exemptions. The full amount collected as excise duty goes to the EU member states budget. With consent of the European Commission the member states define the excise duty reduction which might be granted to a third country.

This section of the publication speaks about EU regulations, which lay common rules for application of excise duties, such as minimum rates of duty that Member States have to respect for certain types of products, etc. The products, which are taxed by the excise duty, are mainly alcohol, manufactured tobacco and energy products (motor fuels and heating fuels, such as petrol and gasoline, electricity, natural gas, coal and coke).

4. Some specifics of VAT duties for imported goods to the EU market

In the European Union VAT is levied on almost all commercial activities, whether goods or services. Imports are taxed with VAT to keep the system fair for EU producers so that they can compete on equal terms on the European market with suppliers situated outside the Union.

At the time when the European Community was created, VAT was a multi-stage taxes which were each levied on the actual value of output at each stage of production

process, making it impossible to determine the real amount of tax actually included in the final price of a particular product. Introduction of common rules on VAT allowed the EU member states to calculate their contribution from the collection of VAT to the overall EU budget.

Given that the EU law only requires that the standard VAT rate must be at least 15% and the reduced rate at least 5%, actual rates applied vary between Member States and between certain types of products.

In this respect, the publication also looks at a study carried out by the European Commission on the impact of reduced VAT on functioning of the EU market.

5. EU export help-desk for the exporters of third countries

An on-line EU export helpdesk provides a tool for developing countries' exporters to access the EU market more easily. The free-of-charge helpdesk contains key information on customs duties, customs documentation, rules of origin, trade statistics, etc. The range of information which the helpdesk provides has been enlarged throughout the years. Nowadays it also includes specific technical and sanitary requirements, including marking and labeling requirements, preferential duties, entry prices, tariff quotas, as well as information on internal taxes applicable in individual Member States.

This chapter explains in detail how the helpdesk works and how to use it effectively. It gives concrete advice on helpdesk options for searching required information. Concrete examples of useful data to be obtained from the export helpdesk are provided section by section.

6. Concrete examples of Customs, Excise and VAT duties levied on certain categories of third country products when imported to the EU market

The last chapter of the publication makes some general conclusions on the management of customs, VAT and excise duties in the EU. It underlines that the system is quite complex and requires specific knowledge of the EU market mechanisms. For this reason, this section attempts to find a practical use of the information contained in the previous sections. It also introduces data on customs, VAT and excise duties for certain categories of agricultural products imported to the EU market. The data is designed for all 27 EU member states and contains several matrixes for each product category. In the chapter, a product description using the Combined Nomenclature and TARIC coding systems is also attached to each matrix.

